

**ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტებზე  
გენერალური შეთანხმების დამატებითი ოქმი**

**ხტრასბურგი, 6.XI.1952**

1949 წლის 2 სექტემბერს პარიზში ხელმოწერილი ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების (შემდგომში შეთანხმების) ხელმომწერი მთავრობები, სურთ რა გაფართოვთ შეთანხმების დებულებები,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

**მუხლი 1**

ევროპის საბჭოს ნებისმიერ ამჟამინდელ ან მომავალ წევრს, რომელიც არ არის შეთანხმების ხელმომწერი, შეუძლია მიუწოდეს მას და ამ ოქმს მისი მიერთების სიგელის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების გზით, რომელიც აცნობებს ამის თაობაზე საბჭოს სხვა წევრებს.

**მუხლი 2**

ა) შეთანხმების IV ნაწილის დებულებები გამოიყენებიან იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ესწრებიან მინისტრების მოადგილეების შეხვედრებს.  
ბ) შეთანხმების IV ნაწილის დებულებები გამოიყენებიან იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც არ არიან წარმომადგენლები საკონსულტაციის ასამბლეაში და ესწრებიან ევროპის საბჭოს მიერ მოწვევლ შეხვედრებს, რომელთა ჩატარება ხდება მინისტრთა კომიტეტის და მინისტრთა მოადგილეების შეხვედრებს შორის პერიოდში, იმ პირობით, რომ ამ შეხვედრებზე დამსწრე წარმომადგენლები არ თავისუფლდებიან დაპატიმრების ან სისხლის სამართლებრივი დევნისაგან, თუცი მათ წასწრებენ დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის დროს ან დაუყოვნებლივ დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

**მუხლი 3**

შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებები გამოიყენებიან ასამბლეაში წარმომადგენლებისა და მათი მოადგილეების მიმართ, ნებისმიერ დროს, როდესაც ისინი ესწრებიან ან მეზაგრობები საკონსულტაციის ასამბლეის კომიტეტების ან ქვე-კომიტეტების შეხვედრებზე დასასწრებად ან ბრუნდებიან ასეთი შეხვედრებიდან, მიუხვდავად მისა, ტარდება თუ არა ამ დროს ასამბლეის სხდომა.

**მუხლი 4**

ევროპის საბჭოს წევრების მუდმივი წარმომადგენლები, მათი ფუნქციების განხორციელებისას და შეხვედრათა ადგილებამდე ან ადგილებიდან მეზაგრობისას, სარგებლობების იმ პრივილეგიებით, იმუნიტეტებითა და შეღავათებით, რომლებითაც ჩვეულებრივ სარგებლობები შესაბამისი რანგის დამლობატიური ემისრები.

**მუხლი 5**

პრივილეგიები, იმუნიტეტები და შეღავათები წევრების წარმომადგენლებს ენიჭებათ არა შესაბამისი პირების პირადი სარგებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ევროპის საბჭოსთან დაკავშირებული მათი ფუნქციების დამოუკიდებელი განხორციელება. შესაბამისად, წევრის აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ, მისი მოვალეობაა მოუხსნას იმუნიტეტი მის წარმომადგენლების ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, წევრის აზრით, იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების

განხორციელებას და მისი მოხსნა შეიძლება იმ მიზნისათვის ზიანის მიუწევების გარეშე, რომელიც მოხდა იმუნიტეტის მინიჭება.

## მუხლი 6

ქ-4 მუხლის დებულებები არ გამოიყენებათ იმ სახელმწიფოს ხელისუფლების თრგანოების მიმართ, რომლის მოქალაქეები არის პირი და რომლის წარმომადგენელიც იგი არის ან იყო.

## მუხლი 7

ა) ეს ოქმი დააა ხელმოსაწერად ყველა წევრისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას. ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას შეთანხმების რატიფიკაციისთანავე ან შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება კერძოს საბჭოს გენერალურ მდგრანს.

ბ) ეს ოქმი ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც მისი რატიფიცირება მოხდება ყველა ხელმომწერის მიერ, რომლებმაც ამ დროისათვის მოახდინენ შეთანხმების რატიფიცირება, იმ პირობით, რომ იმ ხელმომწერთა რიცხვი, რომლებიც მოახდენენ შეთანხმებისა და ოქმის რატიფიცირებას, არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები.

გ) იმ ხელმომწერთა მიმართ, რომლებიც შემდგომში მოახდენენ რატიფიცირებას, ოქმი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

დ) იმ წევრების მიმართ, რომლებიც მიუწოდებიან შეთანხმების ან ოქმს I-ლი მუხლის პირობების შესაბამისად, შეთანხმება და ოქმი ძალაში შედის:

i. ზემო ბ პუნქტში განსაზღვრულ გადაში, როდესაც მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარება მოხდება ამ თარიღიამდე; ან

ii. მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან, როდესაც სიგელის ჩაბარება მოხდება ზემო ბ პუნქტში განსაზღვრული თარიღის შემდეგ.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე თქმა.

შესრულებულია სტრაბურგში, 1952 წლის ნოემბერის მე-6 დღეს ინვლისურ და ფრანგულ ენებზე: თრივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგ ზემდლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ მთავრობას.